

572  
1981



ISSN 0132-0604  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՇՈՒՆՈՒՄԻՆԵՐ

# 60

1981 ՅՅՈՆՆ Մ5

## ԺՈՒՄ





მშობლიური ჩემო მიწავ,  
 შენს სუფარულ სახელს ვუიცავ,  
 რომ დაგიცავ შენს მიღწევებს,  
 შენი დროშის ვერს დაუიცავ.  
**ბალაბიძის**



მისთვის რქმეფია ქართველს ქართველი,  
 რომ მისი ხეუდრი ბრძოლა ვოფილა,  
 არვინ ჰყოლია ხელუცამართველი,  
 მაგრამ მტრის მონად არ დამსობილა.  
**იჩაქალი აბაშიძე**

მაძულს დიდება! შენი ქედების  
 ენახე მშვიდობა და გაზაფხული,  
 შენს ახალ სიძველას ვუიმედები  
 შენი მონა და შენი მსახური.  
**ჩაფავ მაჩხაიანი**

დროშები, დროშები, ახწიეთ ზე.  
 იცინის მიწა და იცინის მზე.  
 მაისი მწვია ბაღებს და ზურებს,  
 ხელ გამარჯვებებით  
 ტვიღაფუნავს გყებს  
**ჯანსუღ ჩაჩავიანი**

შეძად დაღვრილი მტკვარი,  
 თუჯი, ფოლადი, ვერო...  
 ხარობს, ხაღისობს, ჰეფაფის  
 საბჭოთა საქართველო.  
**იოსებ ნონაშვილი**





იას პერეუკუ ვაშებს კუნძულები,  
 ზეცა ოცნების სამფლობელოა, —  
 ურთებს ტაყში, როგორც ღურჯი



„შე რომ მამადლებს — საქართველოა!“  
**ზიკის ურცხვიანი**

კანთიადის ცეცხლის შემოკიდებუ  
 და სვადმოს შოგარეკ, ჯისვის რეიანი!  
 აღმართ-აღმართ აღმავალი დიდება,  
 შენ ახალი საქართველო ეპიანი.  
**ალექსანდრა აბაზიანი**

1676



ცხრა ლახვარი რომ დაძვრეს  
 ცხრაჯერ კუკუმი,  
 მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ ტავიცინებ,  
 დავიღლები საქართველოს სიგვარულში,  
 ხასთუბალზე ერთხელაც არ დავიბნებ.  
**ლადო ახათიანი**



პითია თუ შიდაბრია, სისხარი — თუ სინამდვილე,  
 შენს მინდვრებს ვედალობებს,  
 ვითეუზაყებ, ვინადირებს,  
 ალაღ იუოს ეს მზე, ეს ცა,  
 ახალდაბა, ახალშენი,  
 წარსული და მომავალი  
 ალაღ შენი!  
 ალაღ შენი!



**შოთა ნინიაიანი**



60 წლის წინათ  
 1921 წლის 25 თებერვლ  
 ვალს საქართველოში  
 დამყარდა საბჭოთა  
 ხელისუფლება. საქა  
 რთელოს მშრომელე  
 ბ: თავდებუზოგავად,  
 ნამდვილი გმირუ  
 ლი შემართები იბრ  
 მოდენ, შრომობდ  
 ნენ, რათა ძნელბდო  
 ბით გალატაკებულ  
 რესპუბლიკაში ბედ  
 ნიერი, მშვიდობიანი  
 ცხოვრება დამყარბ  
 ნიით. ამ შრომასა და  
 ბრძოლაში მათ წინ  
 მიუძღოდენ კომუნი  
 სტები.

საქართველომ ამ  
 სამოცი წლის მანძი  
 ლზე საოცრად იცვა  
 ლა სახე. თქვენთვის  
 ახლა წარმოდგენაც  
 კი ძნელია, თუ რა სი  
 დუხჭირეში ცხოვრო  
 ბდენ ჩვენი წინაპრე  
 ბი, რა შფოთიანი იყო  
 მაშინდელი ყოფა.

დღეს კი საქართვე  
 ლოს საბჭოთა სოცია  
 ლისტური რესპული  
 კის დროშაზე ოთხი  
 ორდენი ბრწყინავს.  
 საბჭოთა ხელისუფ  
 ლების წლებში მიღნ  
 ულ წარმატებათა და  
 სტურია გარდამავა  
 ლი ნითელი დროშაე  
 რომელიც რესპული  
 კას მერვედ გადაეცა.

მძლავრი, მომავლ  
 ის იმედით აღსავსე  
 რესპულიკა დაგა  
 ვედრეს თქვენ თქვენ  
 მა შამებმა და დედ  
 ბმა, პაუბმა და ბეი  
 ებმა. თქვენ კი კარ  
 გად ისწავლეთ, პატი  
 ოსანი, სამართლიანი  
 ადამიანები გაიზარ  
 ეთ, გიყვარდეთ სამ  
 შობლო, რათა შემდეგ  
 კიდევ უფრო ააყვა  
 ვით ჩვენი საყვარელი  
 საქართველო.

საქართველოს მშენებლის  
 საქართველოს მშენებლის  
 საქართველოს მშენებლის

ბორის  
ქეჩიკიძის  
ძეგლი



ქენს მღვდელ ქეცელს  
ნათელს აფრქვევს  
მოხიშხიშივე მხე...  
ქენი სიტყვა,  
ქენი საქმე  
ხვეწი ცოცხლობს დღეს.  
ბედნიერი შტურები  
გახვევია კანს,  
მოწიწებით ახსენებენ  
ქენს ხასელს და კვანს!

გივი ქეჩიკიძე

სად წავიდა  
ქეჩიკიძე?

ვეღარ ანერგვს ნაზირებს,  
ვეღარ გადმოდის შარხე,  
თავი უკრავს გვირბაში,  
წაუტყვს და წაწაწყვს.  
შეუბრტყვს ხელ-ფეხი,  
შეუცვადღეს დინება.

- სად წავიდა ენგური?
- შექვდ ქეცევი იხება!

პასილ გვატაძე



# სამართველო



## ნოღაა უამანამაძე

მზის ნათელში დავიბადეთ,  
 ბუჩქი უნჯად გვახლდა,  
 სამშობლოში სწავლებო  
 რამდენი რამ დავგვსჯდა...  
 ვთვლით, ვთვლით, ბევრიც ვთვლით,  
 ვერ მოვთვალთო უმთავრესი, —  
 კნგურტესი, რიანტესი,  
 წატესი და გუმბატესი...  
 ვუძღვრთ ახალ თბილის-ქალაქს  
 და რუსთაველს გავგახანო,  
 ცრიალ ველზე აუციათ  
 რა ქალაქი, რა ქარსანა...  
 სოფლებიც კი ქალაქებს ტყავს  
 ძაღლებზე შენაფერი.  
 ვხა, სხელ-ვარი, ზვარი, ეხან...  
 ღამხაი ევლავერი.  
 კაიფურსქნა საქართველო,  
 როგორც მუსა რტომრევალი,  
 წყნ ვართ მისი აღმადურენა,  
 ჩვენ ვართ მისი მოძველი.

ზურაშ ბახტაძე

**„მოდიო და ნახვი  
ჰინვალი!“**

საბავშვო  
ჟურნალი

სოფელი პირმისაანთკარი  
ჟინვალის მახლობლად მდებ-  
არეობს. ჟინვალს კი ახლა  
მთელი საბჭოთა კავშირი იც-  
ნობს. მეთერთმეტე ხუთწლე-  
დის გეგმამი ჩანერილია —  
დავამთავროთ ჟინვალის პი-  
დროკვანძის მშენებლობა.

აქედან საქართველოს ქა-  
ლაქები და სოფლები ელექ-  
ტროენერჯიას მიიღებენ,  
თბილისი კი — სასმელ წყალს.  
ასე რომ, დიდ საქმეს აკეთე-  
ბენ მშენებლები.

პირმისაანთკარელი ოქ-  
ტომბრელები ხშირად მოდი-  
ან მშენებლობაზე — პიონერ-  
ებთან ერთად კონცერტებს  
ატარებენ — მღერიან და  
ცეკვავენ.

პიდროკვანძის აგება რომ  
დამთავრდება, ვრცელი მი-  
დამო წყლით დაიფარება. იმ



ადგილებში ახლა არქეოლო-  
გიური გათხრები მიმდინა-  
რობს. არქეოლოგებს პიო-  
ნერებთან ერთად ოქტომ-  
ბრელებიც ეხმარებიან — ნე-  
ლა, ძალზე ფრთხილად მიწი-  
საგან ათავისუფლებენ ცალ-  
კეულ ადგილებს. რა სიხა-  
რულით ძგერს გული, როცა  
ძველისძველი ნაგებობა ან  
ნივთი გამოჩნდება!

პირმისაანთკარელი ოქ-  
ტომბრელები სიამაყით ამ-  
ბობენ — ჩვენც არქეოლოგე-  
ბი ვართო, და თან ტკბილად  
მღერიან — „მოდიო და ნა-  
ხვი ჟინვალი, რა კარგი სა-  
ნახავია!“

**კონცერტი გეგმა**

მრავალ კონცერტში მიუ-  
ლით მონაწილეობა ფოთის  
მე-ნ საშუალო სკოლის ოქ-  
ტომბრელებს, მაგრამ ასეთი  
ზემი ჯერ არ ენახათ. კონ-





ცვრტი მეთევზეთა დიდი ხომალდის გემბანზე გაიპარათა.

მეთევზეები სკოლის შეფეხბი არიან. ისინი შორეულ ოკეანეებში იჭერენ თევზს. ოქტომბრელებს ხან ატლანტის ოკეანიდან უგზავნიან რადიოთი მისალმებას, ხან ინდოეთის ოკეანიდან!

ახლახანს ოქტომბრელების მეგობარმა — პიონერმა ლაშა მიქაძემ პატარებს უამბო, თუ რა გაკეთდება კოლხეთის დაჭაობებული მიწების დასაშრობად მეთერთმეტე ხუთწლედში.

— საჩვენო საქმე არ მოიძებნება? — იკითხეს ჯერ ავთომ; შემდეგ კი ზაზამ, ბაკურმა და მაიამი.

— როგორ არაო! — თქვა ლაშამ და ოქტომბრელებიც დაირაზმნენ. ჯერ კონცერტი გამართეს იქ მომუშავე მამაცი ადამიანებისათვის, შემდეგ კი შაბათობაზეც წავიდნენ. პიონერები რომ ორმოებს თხრიდნენ, ოქტომბრელებს ნორჩი ნერგები მოჰქონდათ.

ხეებს ოქტომბრელები იმ ახალ უბანშიც დარგავენ, სადაც ბევრი ცხრასართულიანი სახლი იგებო.

**„ნიშა“ „ნიკიტა“,  
„თეთრშუბლა“...**

მეცხოველეობის ფერმის შესასვლელთან პიონერული ალამი ფრიალებს. იგი რუსიკომ დაამაგრა. რუსიკო და

მისი ამხანაგები ხშირად მოდიან ფერმაში — წითელკუთხეში ახალ ჟურნალ-გაზეთებს ჩამოარიგებენ, მწველავეებს ძროხების დასუფთავებაში დაეხმარებიან. მერე კი იმ შენობისკენ გასწევენ, სადაც ხბორები ეგულეობათ.

რა ლამაზები არიან ხბორები — „ნიშა“, „ნიკორა“, „თეთრშუბლა“!.. სულ პატარებს რძეს ბოთლებით ასმევენ. ბოთლს თავზე რეზინის საწოვარას უკეთებენ და ისე აძლევს ხბორებს.

ერთ დღეს პიონერებს ფერმაში ოქტომბრელებიც წაჰყვინდნ. ძალიან მიეწონათ პატარა ხბორები და პიონერებს თხოვეს, ჩვენც მოგვიხმარებოდნ. რუსიკოს გაელიმა და ოქტომბრელებს ბოთლებში რძის ჩასხმა, ზედ საწოვარების დამაგრება დაავალა. ყველაფერი ისე კარგად გააკეთეს პატარებმა, რომ ხბორების კეზბაც კი ანდვენ მათ.

ამ დროს ფერმაში ფერმის გამგე ძია გრიგოლი შემოვიდა, ოქტომბრელებს რომ შეხედა, ღიმილით გაამხნევა: ალბათ, მალე პიონერებსაც აჯობებთო!

გაეხარდათ, ძალზე გაეხარდათ ნულუკიდის რაიონის სოფელ წითელი ვარსკვლავის ოქტომბრელებს — მანანას, მერაბს, გოგიტას, ეთერს, ლალისა და სხვებს.

განა ხასიხარულო და საამაყო არ არის პიონერებთან

ერთად იზრუნო მეცხოველეობის აღმავლობაზე!

ახლა მეცხოველეობის ფერმის შესასვლელთან ოქტომბრელთა ალამიც ფრიალებს.

**„გამარჯობა, ზდენეკი!“**

ზდენეკ სლამა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში — პრალაში ცხოვრობს, მისი ახალი მეგობრები, ქართველი ოქტომბრელები კი — დუშეთში. დუშელელების მისამართი ზდენეკმა ერთი ხოთხვეული გოგონასაგან შეიტყო, რომელიც მშობლებთან ერთად პრალაში იყო ჩასული. ნარგიზამ ისე აქო დუშელი ოქტომბრელები, რომ ზდენეკმა მათ წერილი გაუგზავნა.

გაიხარეს დუშეთში. სასწრაფოდ დაწერეს საპასუხო წერილი და გააგზავნეს, თან ამანათით გააყოლეს ღია ბარათები და ქართული სიმღერების ფირფიტები. საახალწლოდ კი, ნაძვის ხისთვის, პრალელ მოსწავლეთა დამზადებული სათამაშოები მიიღეს.

ახლა დუშელმა ოქტომბრელებმა დიდ ყუთში ჩურჩხელები, ჩირი, ტკბილი ტყლაპი, კომში, დიდი ლოყანიები მსხლები და კრახუნა ვაშლები ჩაალაგეს.

ამანათი პრალაში გაფრინდა — გაიხარონ ჩეხმა მეგობრებმა!



ზიგლა აბლაძე

## ამლახრის ჭის საიდუმლო

ეს ამბავი ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოხდა.

თბილისის ერთ-ერთ ძველთაძველ უბანში, ავლახარში ბოჭორიძეების ოჯახმა მინის ნაკვეთი შეიძინა.

მალე ნაკვეთი საგულდაგულოდ შემორაგვეს, სახლიც აავგეს და ცხოვრებაც გაჩაღდა.

ოჯახის დიასახლისი ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძე დღედაღამ შრომობდა, ეზო შინაური ფრინველებით აივსო, ძროხაც გაიჩინეს და ისეთნაირად უვლიდნენ, ავ თვალს არ ენახებოდა.

კეთილი ქალიაო, ამბობდნენ მეზობლები ბაბეზე; თუ ვინმეს გაუჭირდა, მაშინვე ცეცხლში ჩადგება და დაეხმარებაო.

სიხარულის ურიამულს ატყებდნენ ხოლმე ბავშვები, ის რომ ახლანდელ კასპის ქუჩაზე გამოჩნდებოდა — მუდამ მზად ჰქონდა პატარებისათვის ტკბილეულიც და ტკბილი სიტყვაც.

და აი, ამ კეთილ ოჯახს სულ მალე თავს რისხვა დაატყდა.

ეზო-გარემო პოლიციელებით აივსო. პოლიციელებმა გადააქოთეს იქაობა, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს და უკან გაბრუნდნენ. ერთ მიიხსნე არ ჩქარობდა, მისი ყურადღება ჭაში ნახევრად ჩაკიდებულმა ვედრომ მიიქცია. ჭა ბნელი იყო, ძლივსღა ჩანდა წყლით დაფარული ფსკერი.

პოლიციელმა ანთებული ქალაღი ჩაუშვა ჭაში. ქალაღი გზად თითქოს რაღაცამ მიიზიდა და გაუჩინარდა. ცდა განმეორდა. ქალაღი ისევ გაუჩინარდა. პოლიციელმა სიხარულივან შეყვირა:


— ბიჭოს! მგონი რაღაცას მივაგენი!

კვლავ აივსო პოლიციელებით ეზო-გარემო, მაგრამ ჭაში ჩასვლა ვერავინ გაბედა და სახანძრო რაზმს უხმეს.

ბოჭორიძეების ორთახიანი სახლს ორსართულიანი სარდაფი ჰქონდა. პირველ სართულში სამზარეულო იყო, ხოლო ქვედა სართულში — არალეგალური სტამბა. სამზარეულო მინური იატაკით იყო გამოყოფილი სტამბისაგან. სტამბაში შესასვლელი ჭიდან იწყებოდა. თოკით ჩაეშვებოდნენ ხოლმე მუშები ჭაში და წყლის ზედაპირიდან მეტრონახევრის სიმაღლეზე გვერდითი გვირავით მეორე ჭაში გადადიოდნენ. აქ კი კიბე იდგა, რომლითაც ზევით ადიოდნენ და მოკლე გვერდითი გვირავით სტამბაში შედიოდნენ.

ეს სტამბა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა და ცნობილი რევოლუციონერის მიხა ბოჭორიძის ხელმძღვანელობით აშენდა. სოციალ-დემოკრატები რევოლუციონერები იყვნენ და





მეფეს ებრძოდნენ.

სულ ორწელიწადნახევარი იარსება ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ. ვინ მოთვლის, რამდენი პროკლამაცია, ფურცელი, მონოდება, ბროშურა თუ წიგნი დაიბეჭდა აქ. აქვე იბეჭდებოდა რსდმპ კავკასიის კომიტეტის არალეგალური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, ლენინისა და სტალინის შრომები, რსდმპ პროგრამა, რომელიც პარტიის მეორე ყრილობაზე იქნა მიღებული და სხვ. დაბეჭდილი მასალები კი მთელს კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც იგზავნებოდა და რაზმავდა ადამიანებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

და აპა, იფეთქა დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, რომლის მომზადებაში ავლაბრის სტამბამაც და იქ მომუშავე რევოლუციონერებმაც თავისი წვლილი შეიტანეს.

გავიდა წლები. ქვეყანა მშვიდობიან შრომას შეუდგა და მადლიერმა შთამომავლებმა ავლაბრის სტამბაც მოიგონეს, პირვანდელი სახით აღადგინეს და მუზეუმი გახსნეს.

ხშირად, ძალიან ხშირად მოდიან აქ ძველი ბოლშევიკები და იხსენებენ ბრძოლითა და შრომით განვლილ გზას. უყვებიან ბავშვებს განვლილ ბრძოლებზე.

აქ, შედიან ოქტომბრელები პიონერთა ორგანიზაციაში; საზეიმოდ იღებენ ახალგაზრდები კომკავშირულ მანდატებს.

სალხმრავლობაა მუდამდღე ავლაბრის არალეგალურ სტამბა-მუზეუმში. მის დასათვალეერებლად მოდიან ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველი მხრიდან და საზღვარგარეთის უამრავი ქვეყნიდან. მოდიან, რათა ღირსეული პატივი მიაგონ სახელოვან რევოლუციონერთა ამაგსა და თავდადებას.

## სახსე ღოჭი

ლევან ანანიძე

ბებო მ ღოჭი წყლით გაბავსო,  
აღმართ გზაზე დაიღალა,  
საიდანლაქ განაწა მასთან  
თინათინი თვალციცკარა:  
— გეთქვა, წყალს მე მოგიტანდი,  
შეიბრაღე ბებო, თავი,  
— გმადლობთ შვილო, არ მეგონა  
აქ, ეზოში თუ იყოფი!

## ია და მზია

ნუნო ძალახაძე

— რადგან მჭვია ია,  
ჩემიო ია,—  
დაიჩქმა იამ.  
— როგორ არ გრცხვენია,  
მე თუ მჭვია მზია,  
განა დავიჩქმებ,  
რომ მზე სულ ჩემია?!

## 306 მოწყვიტოს?

გიორგი შთაშაპრაძე

იზოს ბალში  
თეფრი გოგრა  
გაიზარდა, აეშვა,  
ლახებს თავზე გადაეცლა,  
მაკას ბალში დაეშვა.  
მთელი გონივრული,  
იზოს ბალში ფსევები აქვს,  
თუთონს მაკას ბალშია,  
აქაც არის, იქაც არის,  
ფოთლებამოჭარტული,  
ბოლოს გოგრა ვინ მოწყვიტოს,  
იზოვ თუ მაკუნომ?!



## ანდასებო

ტოლმა ტოლს რიითი ბუთბა, და ბარე ბავთომითოს.  
ეროდა — შრიას ხაღისია, უქმად ღვამს — სარტყელით.  
სწავლად ცოლანს სესლიად და ცოლანს ბუღნიერებოდა.

## წინაპარი

ზაზა ზაზაძე

წინაპარსა ჭროლისს  
ეს რა ძალია ჰქონია!  
კულით ქვა ასროლინა  
ღრუბლის უჩინებლ გოლიათს.  
დაუფერია ქალაქი,  
გაუფანტა დაშვარი,  
ახლა კრიდა ცაზე  
დაქრის სიცილ-ხარხარით.  
აფერის ღრუბელს კი არა,  
ნისლსაც არ წააქარებებს  
ტყვეობიდან გამოსსნილი  
მთვარესა და ვარსკვლავებს.  
ხედავ კი აფრთხილებულ  
მინდორსა და იაილს  
საბუთოვ ეწვევა  
ცხრათვალა მზე ბრიადი.

## ენის ბასათმხი

ზაზა სასუბაშვილი

აქეთ ჩადა, იქით ჩადა,  
ჩაიარა გოვამ ჰვალა,  
დაინახა ჩაღის ჩრდილო,  
ქვიშას ჩიჩქნის კიბორჩხადა.  
გოვამ ხელები გაშალა,  
წყალ-წყალ ჩარბის ჩქარა, ჩქარა,  
დაიჭირა კიბორჩხადა,  
საბღწო წამოაჩანადა.

## წითელი ვარსკვლავი

შენ წითელი ვარსკვლავი ხარ,  
ასის ხარ  
მიწის,  
ცისა!  
რახანია ქვეყანაზე  
შვიდობასა და  
ძმობას იცავ!  
მკერდს უმშვენებ შრომის გმირებს,  
მკერდს უმშვენებ ქვეყნის მცველებს,  
გულს უხარებ ერთგულ შვილებს,  
ვაშა იმით გამარჯვებულს.  
შუქურავარსკვლავი ხარ ჩვენი,  
გამარჯვების იმედს ჰბადებ,  
მაღე ქვეყნად აღურთლებ  
ყველა მშრომელს  
გულსინადებს.

ზაზა ზაზაძე

# სანიტარო ციხის



კვირი

სანიტარო ციხის

კვირი დღით, ნახუხუხვს, პატარა ციხის დღის გამოუცხადი — მოუღივარ, დედოკი — სად მივინარა, დღეს ხომ დასვენების დღეა? — გაუკვირდა დედას. — დაჭრილ ჯარისკაცებს უნდა მივუკუვრო — ჯარისკაცები?! სად არიან დაჭრილი ჯარისკაცები?! — ფრთხილზე მე ხომ სანიტარო ვარ! — მოუკო ციხისა და მთელი ოთხივე გავიდა. გოგონამ აიღო სათამაშო სანიტაროს ჩანთა, რომელსაც ორი პატარა წითელი ნაჭრით ჯვარი ჰქონდა დაკრებულად, შიშ პატარა პერანგული, ფრინდოსკობი, სიხისისაზომი, სხვადასხვა ზომის სამი ნაწლის პუშა, პამპა და ფოლბანდი ჩაღებაც, ჩანთა მხაროდლე გადმოკიდა, ჯერ მუხრუღული ნაბიჯით გაიარა-გამოიარა ოთხივე და მერე დედას დასკუბუბულ თოვლებს მიადგა. — დაქვითი! ჭკარა მტრის ავიდამტროს ნავები გუთამლოვებიანი არ გეშინო! — ციხისმა ხუთივე თოვლი დაიკინა პარქვე დაანერა, ავითონ მიკვირებდა მე-ფიფი, რამდენჯერმე ნაშობობა — ხაბი ხაბი ხაბი! — და საფარს ზომობდა — აბა, ვიყავ-

ცებო, აფეთქალი თვითმფრინავები უკვე ვაჭრინებენ, დაბობნა ვათავდა! — ოთხი თოვლი დაიკინა ზურგზე მიაფიდა, ერთი კი იატაკზე დაფრულ პატარა ტილოზე დაანერა და ნახაზილია, რკინის პატარა სანოლზე ზოლებიანი ლეპი დაავი. ზედა-დაქვითი თოვლი დაანერა და ქრული სახაზი დაავიარა არ იკვებო, ვერცხვად, შენ ხომ ვაქციე ხარ! ოდეს ნაფიქსად, ცოცხა აფრულა, მაგრამ წე გეშინია. დიდ ქრულითაზ სანიტარო პამპით მოგწმინდე, მერე ზედა სუთნა პამპის დაგაფრე და ჩაღიან ფრთხილად შევარბავდ ოღონდ გეშინა არ ვამბავო, შენ ხომ გემრი ხარ! გემრები კი, რაყ არ უნდა უჭირდეთ, არ კუწხიარ, ტყვილი უტლებანი ახლა წაგზნაზ გავიკრებ და ტყვილი სულ ვაგიკრებდები წე გეშინია, ეს ფეხი ისე მოკრისება, იცხადეს კიდევ წე ხარ! ვიქი ახლა შენ ხომ მუხრუღე გქორბედა მე შენთან ვარ! ხანამ ფეხზე არ დაგაყვებ, არ მოგშორდები აბა, ესა გამოვიყო! აბა — თქვი მთელი სიყხე გექვს! აბა, თვრამოჭრი ჩაღვი არ გაიხმებ! აბა, ახლა მოვასებნი ისინი-ვე! კიდევ დამდე ისინი-ვე! კიდევ კარგი ფრთხილზენი არაფერია! აბ, ეს მუხრული შენ!



მაშინ-მისათვის ახლა პოსტკაღში ხარ, სანიტარო. მაშინ-მისათვის გამოიწვიე და სულ მალე მოიწვიე. ახლა დაიძინე ძალიე ნახა-ლი! — გავიდა ბებიაშ შვილიშვილის ღამარას ღერა მაქვს და გამოიწვიე: — მანდ რას აკრებ, ციხი? — გახსოვს, მაშინ რამ უკვებოდი... — აუუუ, როგორ ზესტად დაგამახსოვრება ახლა-აღერი! — ბებო, შენ რომ ის მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი ღამად-კარავს დაანერე და და ფრთხილთ გამოიწვიე პრძილის ვეღად, ვაღამა? — ვაღამა, ბებო სიყხეზე ვაღამა. — ახლავ ცოცხალია? — ცოცხალია. ცოცხლ ცხრა მანის ის კაცი მიგვარებს ახლავ ღამის მოსალეე მაქვს, ზედა-დაჭრილი რომ ახლავ, შენ რომ ძალიან მოგწმინდა — ვევიღებუნი თავიღელს მგავთი. — ახლავ ჯარისკაცი? — არა, ბებო კარგი, რაღა დროს მისი ჯარისკაციბაა ის ახლა კარგი ხანია ბაბუა, სამი შვილიშვილი მგავს.



— სად ცხოვრობს? — შორს, ლენინგრადში ხომ იცი ლენინგრადი? — როგორ არ იცი, თქვენ არ ამბობდით, იმის დროს ლენინგრადში ბავშვები ნახვრხან პურს ქანდენს და ზოგჯერ ისიც არ ჰქონდათო! რა იცხად, ობო, არა, ბებო! — ე, — ამოიხარა გვეყვა ბებო! — ბებო, შარშან, ცხრა მანის, შენ ორ-დენი რომ დაამხრე პულზე იმ ლენინგრადელი ჯარისკაცის გადარჩენისთვის მოიციეს? — არა, შვილი, მაგრამ იმ ჯარისკაცის გადარჩენისთვის არა! ბებოს სხვადასე ვუმ-პედა ციხის თავის „დაჭრილ“ თოვრისა მოგ-რუდე! — გავიკონ, რა თქვა გავიდა ბებოში? ბებო მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი გად-არჩენია. პოდა, არ შეუღმინდეს! შენ მე გა-დავარჩე, მალე მოიწვიე! ახლა კი დაიძინე, გევიკვდე, მშობიად დაიძინე, არაფერი უფარდო! — ციხისამ თოვრის თოვზე ავირ-სით გადგებუა ხელი და ხანდის გუწმინდა. — მუხრუღის ძალიე ისე დაავიდე ვეღა ბავშვი, წე ვაიკვებდეს, რა სანიტარო ნამ-დვილი იმის მუღამ თამაშად დაქრული-ფის თქვენს თამაში, შვილი! — თაყისთვის ნახვრუღული გევიკე ბებო!



მარგო თომაძე

გიაბუტამ ბევრი რამე იცნისო, ასე ამბობენ პატარა გიაზე.

— გიაბუტა, ყვითელი ავტობუსი სად მიდის?

— ბუბასთან.

ბუბა გიას ბებიია.

— თორი ტროლეიბუსი?

— დათო ბიძიასთან, — მკვირცხლად ამბობს გია.

ერთხელ დედა და გია ქუჩაში მისიერობდნენ. გზაზე წითელი ავტობუსი გაჩერდა.

— ჩავჯდეთ წითელ ავტობუსში, — შეეხვეწა გიაბუტა დედას.

— არ გვინდა ავტობუსი, ფეხით გავსიერნოთ.

გია გაჭრეულდა და ფეხები ააბაკუნა.

— ფეხებს ნუ აბაკუნებ, ქვევით მიწისქვეშა სასახლეა და დაინგრევა, — გაეხუმრა დედა. გიაბუტამ თვალები ჩჷოტა.

— რა არის ქვევით?

— მიწისქვეშა სასახლეა, მარმარილოსი, შიგ ცისფერი მატარებლები დაქრიან.

— ნამოყვანე მიწისქვეშა სასახლეში, — სთხოვა დედას გიამ.

— ნავიდეო, — ხელი ჩაჰკიდა დედამ. — აი, სადგურიც აქვეა.

სადგურში რომ შევიდნენ, გია აჩქარდა, დედას გაუსწრო და წინ გაიქცა, საითაც მგზავრები მიდიოდნენ; მაგრამ რკინის რიკულებიან ვასასვლელში რკინის ხელები გადაეღობენ და არ გაუშვებს.

ახლა კი იკადრა გიაბუტამ, მაგრამ ჩაჰკიდა ხელი დედას და მასთან ერთად წავიდა კიბისკენ, მაგრამ კიბეზე შედგა თუ არა ფეხი, საფეხური უცებ ფეხქვეშ გაუსხლტა, შეტორტმანდა, თავი ვეღარ შეიკავა და დედა რომ არ მიშველებოდა, იქვე გაიშხლართებოდა. როგორც კი მარჯვედ დადგა ფეხზე, კიბეს გახედა. გრძელვარძლი კიბე გუგუნით მიქანებოდა ქვევით.

— ხედავთ, ხედავთ! კიბე მიდის! — ნამოიმაზა გაოგნებულმა გიაბუტამ. — ხალხი დგას და კიბე მიდის...

— ქვესკნელში მივდივართ, იქ გველესაპია, არ გეშინია? — უთხრა მის ზემოთ კიბეზე მდგომმა ბერიკაცმა.

— არაფერიც, — თავი გაიქნია გიაბუტამ, — მიწისქვეშა სასახლეში მივდივართ, იქ ცისფერი მატარებლები დაქრიან.

უცებ გიამ რალაც ახალი შეინშნა!

— შეხედე, შეხედე! ის კიბე ზევით ამოდის, — გაახედა მოხუცი მგზავრი მეორე მხარეს. ხალხით წავევ კი-

ბე — ესკალატორი ქვევითდან ზევით მოგუგუნებდა.

— კიბე ადის, კიბე ჩადის, კიბე მიდის, კიბე მოდის, ეს რა კარგი კიბე ყოფილა, — გამხიარულდა გიაბუტა.

როცა ქვევით ჩადიოდნენ, კიბე ისევ გაუსხლტა ფეხებქვეშ, გია შეტორტმანდა, თავი ძლივს შეიკავა.

— ეს რანაირი კიბეა, მეჭიდავება. უნდა, ნამაქციოს, — გაჯავრდა გიაბუტა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კიბე სულ დაავინწყდა — იგი მარმარილოს სვეტებიან, ლამაზი ლამპიონებით განათებულ მიწისქვეშა სასახლეში იყო. ზოგი იქით მიიჩქაროდა, ზოგი აქეთ. გია და დედამისი მარჯვენა ბაქანზე შეჩერდნენ. წინ რკინიგზის ლიანდაგი ეგო. ორი პირდაღებული გვირაბი ერთმანეთს შესერებოდა. უცებ ძლიერი გუგუნე მიოსნა და გვირაბიდან ბაქანზე შემოვრიოდა გაჩახახახებული ცისფერი მატარებელი. მგზავრები სწრაფად გამოვიდნენ ვაგონებიდან.

— აბა, ჩქარა, — უთხრა დედამ გიას და ვაგონში შევიდნენ.

მატარებელი დაიძრა და ბნელ გვირაბში ხმაურით შეგრიოდა. გიამ მგზავრების დათვლიერებაც კი ვერ მოასწრო წესიერად, რომ გაისმა:

— სადგური ლენინის მოედანი.

გია და დედა მატარებლიდან გავიდნენ. აქაც მარმარილოს სვეტებიანი დარბაზი დახვდათ.


— აბა სად არის ლენინის მოედანი? — გაოცდა გიამ.

— ხომ მოგეწონა ის კიბე, თითონ რომ ადის და ჩადის!

# მხატვარი სულხანი

ფრიდონ ხალვაში

არ წაიყვანეს სოფელში  
ჩვენი სულხანი პატარა.  
ენყინა.  
დაჯდა ნატრული  
მთა-გორის დასახატავად.  
სულ თვალნი ედგა სოფელი,  
ნალია, ოდა, ბუხარი.  
ლობზე ბადე ბაბუსი,  
ხევი კი — ლელე მქუხარი.  
ნინ ბებოს ფისო დაისვა,  
გვერდით — დაიკო, გვანცულა.  
ჩაფიქრდა,  
ლურჯი ფანქარი  
ფურცელზე გადააცურა.  
— ეს რაა? — გვანცამ იკითხა,  
— გზა! — უპასუხა მხატვარმა.  
— გზის ბოლო რომ გამაუქა? —  
თქვა: — ახლა ხიდზე გადავალთ.  
— ოჰ! — გაიხარა გვანცულამ,  
ჩაცუცქდა,  
— ბებო სადაა?  
— მაცალე გოგო! — ძამიკომ




თითი მიიღო ლოყაზე,  
ფურცელზე ცისფრად რაღაცა  
გრძელი და გლუვი მოხაზა, —  
სოფელგებს დელფინს დაპირდა,  
უნდა აჩუქოს რომ ჩავა.  
დელფინებს რქები დაუსვა,  
შალა და ველარ მოშლა.  
არ დავინყნია ხეებიც,  
ტოტები დაბლა დახარა.  
არ დავინყნია ბოჩოლა,  
მზე, მთვარე, წყარო და ღარი.  
სურათი მწვანედ მოფერა, —  
ეს ბალახია ბიბინა.  
კატას ნამდვილი ეგონა,  
ნახატზე გადაიბინა.  
— ეს რაა? ბებო სადაა?  
შენუხდა გვანცა ნანყენი.  
სულხანმა გობი მოხაზა,  
მერე მოხაზა საცერი.  
იქვე სამფეხა ჯორკოზე  
ბებია დასვა ლალადა...  
არ წაიყვანეს სოფელში,  
სოფელი ნატვრით დახატა.

მხატვარი ელშარდ ამბოქაძე



ბაბა, ახლა აქ შეხტი, — ხელი  
მიაშველა დედამ, — ეს კიბე  
აგვიყვანს ლენინის მოედან-  
ზე.  
გიაბუტა დაფიქრებული  
იდგა კიბეზე. ახლა მას აღარ  
უკვირდა, კიბე რომ თავის-  
თავად ადიოდა...  
— კიდევ არის ასეთი მი-  
ნისქვეშა სასახლეები? — იკ-  
ითხა გიამ.  
— კიდევ... და ყველას ერ-  
თად მეტრო ქვია, — მიუგო  
დედამ.  
— მეტრო! — გამოცო-  
ცხლდა გიაბუტა, — ვიცი!  
ვიცი! მამა შემპირდა მეტ-  
როში გაგასეირნებო. წამი-  
ყვანს და კიდევ ვნახავ მი-  
ნისქვეშა სასახლეებს!



### გიორგი როინიშვილი

ვისაც „დილა“ უყვარს, ვისაც მისი ავ-  
კარგი აღვლევებს, იმან არ შეიძლება არ  
იკოდეს ჟურნალის სამხატვრო რედაქტო-  
რის გიორგი როინიშვილის სახელი. აგერ  
უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტი ხანია, რაც  
გიორგი როინიშვილის ნახატები ამშვენებს  
„დილის“ ფურცლებს, მაგრამ მისი, როგორც  
სამხატვრო რედაქტორის საქმე, მკითხველი-  
სათვის უჩინარია. უჩინარია, რადგან არსად  
არ არის აღნიშნული, თუ როგორ იქმნება.  
როგორ იღებს მხატვრულ სახეს თქვენი ჟურ-  
ნალი. ეს ხომ სამხატვრო რედაქტორმა უნდა  
მოიფიქროს წინასწარ, იმან უნდა მოუძებნოს  
ჟურნალში თავ-თავისი ადგილი ნახატს თუ

ტექსტს; იმან უნდა ჩამოაყალიბოს კვეთა-  
ფერი ერთ მთლიანობად, რომ „დილა“  
მარტო ლექსებითა და ზღაპრებით, მხოლოდ  
ბეჭით და კჳუსისასწავლებელი ამბებით, გა-  
მოცანებით და გასართობებით იყოს მიმზიდ-  
ველი და საყვარელი, არამედ გაფორმებით,  
ნახატებითაც.

ახლა ძია გიორგის 60 წელი შეუსრულდა  
და გვენდა თქვენთან ერთად მივულოცოთ  
მას ეს საიუბილეო თარიღი, თან კი მოკლედ  
გამბოთ, თუ რა ამაგი დასდო საქართვე-  
ლოს დამსახურებულმა მხატვარმა გიორგი  
როინიშვილმა საერთოდ ქართულ მეტადრე  
კი საბავშვო მხატვრობას.



ნიუსტრაცია  
დავით კლდიაშვილის მოთხრობისათვის



ალეიჩი  
ბაზრობა

გიორგი როინიშვილმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და მას შემდეგ არ მიუტოვებია ხატვა. მაშინაც კი, როცა დიდ სამამულო ომში იბრძოდა, მუდამ თან ჰქონდა ფანქარი და ქაღალდი.


გავიდა დრო. ვინ მოთვლის, რამდენი ღამე ათენა და დღე დააღამა მხატვარმა მოღბერტთან. მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო

# თვენი საუბაჲლი მსახურები



ქველი თბილისი

ქველი თბილისის  
სახურავები



ილუსტრაციები  
დავით კლდიაშვილის  
გოთიკურგაგონათვის



რეკონსტრუქცია





მეცხვარაძეანი

თუ საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენაში მიიღო მან მონაწილეობა და დიდი მოწონებაც ხვდა წილად; მუშაობდა და მუშაობს საბავშვო წიგნების მხატვრულ გაფორმებაზე, ბექდავდა თავის მშვენიერ ნახატებს არა მარტო ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში, უც-

ხოურ საბავშვო ჟურნალებშიც. მაგრამ ყველაზე ძვირფასი მისთვის იყო და არის „დილა“ — ქართველი ბავშვების ჟურნალი.

აი, რამდენიმე იმ აუარებელი ნამუშევრიდან, რომლებიც გიორგი როინიშვილს შეუქმნია.



ივანე ავალიანი





საქართველო  
შპს "საბავშვო"

### თავსაცხენი



### გასაღებები

აქ გამოსახულია გასაღების 10 კრილი. როგორ გგონია, რომელი რომელს მოერგება ეს გასაღები?



გამოსახე ხაღის აუღებღ

### ქილა

საკრავია ხადხური, დერწმისაგან ითღება, დასაწყისი მარცვლი საკმარისი იქნება. უჩინარი ფრთებით რომ დაპჭრის მთელ და ბარადა, მისი წინა მარცვლი დასჭირდება შარადას. კიღურ ბგერას შეიცივის ყურანის კრეფის სახელი.— წადკოტივით მხარეა, იხიბდება მნახველი.

შოთა აშირანაშვილი

შეაქეთ ცაიელი უჯრედები ველური ხლის სახელებით ისე, რომ ფერად სვეტი მთლილ სიტყვა შემენარე.

ნინო ბუაძე,  
თბილისი 140-ე საშ. სკ. III კლ

ახსუნი შუანალ  
"დილის" № 4-ში  
მოთავსებულ  
განათობაზე: "ჭიჭიჭი".

წყალი მგორე კიქი-  
დან მებუთე კიქაში უნ-  
და გადაასხა.

საქართველოს  
ალქ ცა-ინა  
და ვ. ი. ლინიძის  
სახელმწიფის  
პრინციპის  
ორბანინუბიის  
კმისუნსოკოპი  
საბავშვო  
შუანალი  
უბცოკსაქა-  
სალთათვის

გამოცემის  
34-ე წელი  
საქ. კა. ცა-ის  
გამოცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии

### მთავარი რედაქტორი შუანალ შაჭაპარაძე

სარედაქციო კოლეჯი: შუანალ აშოშაძე, ილია ანთილაშა, აუპარი პრეზიუმილი, სოლომონ და შორხანაშვილი, ლეილა ბრაბა, ზურაბ ლეშაშვილი (პრეზიუმილი), ვანანა კოხჩიაში, პაულა ლოსაბა-რჩხა, პაპავალ პრევერევილი, ჯურაბა ნაღრთაბა, პიოტრი კოხინშილი (სამხატვრო რედაქტორი).  
პეტი ანლაბა, მერი ნილაშაი, პეტი პიქინაბა.

### რედაქციური ელ. წარდობი

მსახურა: რედაქციის გამოცემების, საბავშვო — ილია ანთილაშა, აუპარი პრეზიუმილი — 93-41-30, 93-98-15; პრეზიუმილი — 93-41-30, 93-98-18; საშ. რედაქტორი — 93-98-18; გარეუ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაცემა-საწყობაზე 20/IV-81 წ. ზღვითურთა დასაბუთავ 20/IV-51 წ. ქალაქის ზომა 60X90წ, ფხ. ნაშ. ფერე. 2წ, ტრაბეი 158.90წ მეტ. № 906, „დილა“ № 5. ჟურნალ მლადეჩკასნიკოვ. ია ტრუნიოსკი ზოგე. Главный редактор М. Мачавариანი. Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 54/85



## ჩვენ სტუმრები

ქ. გოგიაშვილი

მზიამ, იბამ, ირმამ, თვამ  
მოვიწვიეთ სტუმრები,  
ჩვენი მოჭადრაკეები,  
მართლა, არ გეზუმრებით!  
მაიას, ნონას და ორ ნანას  
შეგვხვდით კოხტა კაბებით,  
იასანით, ვარდებით,  
ახალ-ახალ დაფებით.  
— ბოღიშს ვიხდით, შეგაწუხეთ,  
ბრალს ნუ დაგვდებთ ამაში,

ჩვენ, პატარებს, გვეგვწებით,  
თქვენთან გვინდა თამაში.  
ძლივს ჩაგვიდგეთ ახლა ხელში,  
აწი ვერ მოგვიცილებთ...  
და სტუმრებმა გულიანად  
იციენეს და იციენეს!  
წილის ყრის დროს მე ვის შეგვხვდი?  
ვის?—მსოფლიო ჩემპიონს!  
ნა იქნება, ერთი ხელი  
იქნებ მომაგებინოს!

